<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში

ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, N12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. 58-ე მუხლს დაემატოს მე-5 და მე-6 ნაწილები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემაში ნარჩენების ჩაყრა, აგრეთვე, ტექნიკური რეგლამენტის პირობების შეუსაბამო ჩამდინარე წყლის ჩაშვება -

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

6. ამ მუხლის მე-5 ნაწილში აღნიშნული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, -

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 800 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.“

2. 239-ე მუხლს დაემატოს 75-ე ნაწილი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„75. ამ კოდექსის 58-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ სასმელი წყლის მიმწოდებელი (წყალმომარაგების ლიცენზიატი) კომპანიები საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე